

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-
გვერდის (www.mcla.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და
ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 16 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო


www.mcla.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით



■ ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
 ■ წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი



საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში - „მინისტრი“ სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის კომპეტენციის აღწერა და მინისტრის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

თქვენ იმყოფებით: [სამინისტრო](#) / [ხათუნა კალმახელიძე](#)

ხათუნა კალმახელიძე



მინისტრი

დაიბადა 1979 წლის 11 თებერვალს ქ.თბილისში

განათლება:

2001-2005 სწავლობდა ნიუ-იორკის სიტი უნივერსიტეტის ჰანტერის კოლეჯში, პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით და მიიღო ბაკალავრის წოდება.

2005-2007 სწავლობდა ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების ელიოტის სახელობის სკოლაში, რომელიც დაამთავრა საერთაშორისო უსაფრთხოების მიმართულებით და მიიღო საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის წოდება.

2. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და სამი მოადგილე. ქვე-განყოფილებაში სათაურად „მოადგილეები“ მოყვანილია ინფორმაცია მხოლოდ სამი მოადგილის შესახებ. ინფორმაცია მინისტრის მეოთხე მოადგილის შესახებ ვებ-გვერდზე არ მოიძიება. აგრეთვე არ ირკვევა თუ რომელი მოადგილე წარმოადგენს მინისტრის პირველ მოადგილეს. ამასთან, სასურველია ქვე-განყოფილებას დაემატოს ინფორმაცია მინისტრის მეოთხე მოადგილის შესახებ, რომლის ბმულზეც გადასვლისას, იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობა ვაკანტურია მოყვანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია: „თანამდებობა დაკავებული არ არის“, „მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ ან *მისთ.*

ხსენებულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის ყველა მოადგილის კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ-ფოსტები, მისაღებების (თანაშემწეთა) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

მთავარი	სამინისტრო	რეფორმები	სასარგებლო ინფორმაცია
თქვენ იმყოფებით: სამინისტრო	სამინისტროს შესახებ		
მოადგილეები	მინისტრი		
	მოადგილეები		
	სამინისტროს დებულება		
გიორგი მაკასარაშვილი	სამინისტროს სტრუქტურა		
გიორგი არსოშვილი	დეპარტამენტები		
ალან პარასტავი	დაქვემდებარებული უწყებები		
	2012 წლის პრიორიტეტები		

3. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, აგრეთვე სამინისტროს სისტემის ერთიანი სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროს ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები). აგრეთვე სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი და მითითება იმაზე, რომ განყოფილებაში „კონტაქტი“ მოცემული სამინისტროს ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

თქვენ იმყოფებით: **მთავარი მინისტრი** / კონტაქტი

კონტაქტი

მისამართი:

ალექსანდრე ყაზბეგის 42

0177 თბილისი, საქართველო

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვებ-გვერდი : www.mcla.gov.ge

შეკითხვის დასმა : info@mcla.gov.ge

ტელ : (995 32) 2 31 27 34

ფაქსი : (995 32) 2 31 19 01

გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი : (995 32) 2 25 70

სახელი, გვარი:

კომპანია/ორგანიზაცია:

პოზიცია:

ტელ/ფაქსი:

ელ-ფოსტა:

სათაური:

ტიპი:



გადაგზავნა

4. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მოქმედი დებულებით განსაზღვრული სამინისტროს მმართველობის სფეროს, ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის აღწერა:

თქვენ იმყოფებით: [სამინისტრო](#) / სამინისტროს შესახებ

სამინისტროს შესახებ

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს სასჯელის აღსრულების განხორციელების ორგანიზებას და სასჯელაღსრულების ორგანოთა მართვას, აგრეთვე უფასო იურიდიულ დახმარებას.

სამინისტროს ფუნქციების განხორციელებას უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულება - [სასჯელაღსრულების დეპარტამენტი](#) და საჯარო სამართლის 3 იურიდიული პირი:

- [არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო](#)
- [იურიდიული დახმარების სამსახური](#)
- [სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი](#)

სასამართლოს მიერ დადგენილი სასჯელის აღსრულებასთან ერთად, რომელიც უპირველეს ყოვლისა სასჯელის ძირითად მიზნებს უნდა ემსახუროდეს, სამინისტრო ზრუნავს ასევე საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, თუმცა სამინისტროს უპირველესი საზრუნავი თავისთავად არის ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. სწორედ ამ მიზნით სამინისტროს სისტემაში მიმდინარეობს მრავალმხრივი რეფორმები, რომლებიც შეეხება მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას, რეაბილიტაციას და ასევე პენიტენციურ სისტემაში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესებას, ვინაიდან კვალიფიციური სამედიცინო სერვისის მიწოდება მსჯავრდებულთა და ბრალდებულთათვის სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.


სამინისტროს ინიციატივით პენიტენციურ სისტემაში დაინერგა მრავალი სიახლე, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია [ხანგრძლივი პაემანი](#) და [ვიდეოპაემანი](#).

უმჯობესდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ინფრასტრუქტურა, რის გამოც დღეს მსჯავრდებულთა დაახლოებით 80% სასჯელს დასავლური სტანდარტების დაწესებულებებში იხდის. სამინისტრო უახლოესი 2-3 წლის მანძილზე გეგმავს ჯერ კიდევ დარჩენილი რამდენიმე ძველი, ამორტიზებული დაწესებულების გაუქმებას და მათი ახალი დაწესებულებებით ჩანაცვლებას.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

5. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემის სტრუქტურულ ხეზე (განყოფილება „სამინისტრო“, ქვე-განყოფილება „სამინისტროს სტრუქტურა“) სასურველია არსებობდეს აღნიშვნა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი წარმოადგენს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას. ამასთან, სსიპების აღმნიშვნელ ინფორმაციულ ბლოკებზე სასურველია მოყვანილ იქნეს აღნიშნულ საჯარო დაწესებულებათა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ზუსტი დასახელებები („სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური“ და „სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“). აქვე, სასურველია მოიძიებოდეს ინფორმაციული ბლოკი მინისტრის მეოთხე მოადგილის შესახებ და აღნიშვნა „პირველი მოადგილე“:

სამინისტროს სტრუქტურა



6. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ინფორმაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, მათი კომპეტენციის აღწერა, სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანამშრომლების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს:

მთავარი	სამინისტრო	რეზორმები	სასარგებლო ინფორმაცია	პარტნიორები	თანდრამები
თქვენ იმყოფებით: სამინისტრო	სამინისტროს შესახებ				
ადმინისტრაციული დეპარტამენტი	მინისტრი		ადმინისტრაციული დეპარტამენტი		
ძირითადი ფუნქციები	მოდელი				
• მინისტრისათვის ორგანიზაციის მართვის საკითხების განხილვის მიზნით	სამინისტროს დებულება				
• სამინისტროში დოკუმენტის მომზადების წესები	სამინისტროს სტრუქტურა				
• მასობრივი ინფორმაციის გავრცელების წესები	დეპარტამენტები		ადმინისტრაციული დეპარტამენტი		
• 2012 წლის პრიორიტეტები	დაქვემდებარებული უწყებები		გენერალური ინსპექცია		
• მიკუთვნებული საქმიანობის განხორციელების თაობაზე	2012 წლის პრიორიტეტები		საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი		
• დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სხვადასხვა მოქალაქეთა განცხადებებისა და წერილების დადგენილი წესი			საგამომცემო დეპარტამენტი		
• საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის			საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი		
			სამედიცინო დეპარტამენტი		
			ეკონომიკური დეპარტამენტი		
			სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი		

➤ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

7. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: ვაკანსიათა არქივი, განხორციელებული ტენდერების ამომწურავი ჩამონათვალი (სია); ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ერთიანი (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.

ამასთან, განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებული ქვე-განყოფილება სათაურად - „2012 წლის პირობები“ და განყოფილებაში „სასარგებლო ინფორმაცია“ არსებული ქვე-განყოფილება სათაურად - „განცხადებები“ ცარიელია:

თქვენ იმყოფებით: [სამინისტრო](#) / 2012 წლის პირობები

2012 წლის პირობები

თქვენ იმყოფებით: [სასარგებლო ინფორმაცია](#) / განცხადებები

განცხადებები

ამასთან, ისეთ ინფორმაციულ ბმულებზე (ბანერებზე), როგორებიცაა „სტატისტიკა“, „ცხელი ხაზი“, „ვიდეო გალერეა“, „ფოტო გალერეა“ და სამინისტროს ძირითადი სიახლეებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ მთავარ გვერდზე გადასვლით, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებელისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ;

8. სამინისტროს მოქმედი დებულების მე-16 მუხლის ვ) პუნქტის თანახმად, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სხვა ძირითად ამოცანებს შორისაა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო დავების ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, აღრიცხვა და ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა. სასურველია შესაძლებლობების ფარგლებში ვებ-გვერდზე ხსენებული საინფორმაციო ბანკის განთავსება.

9. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

➤ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. სასურველია სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-)განყოფილება - „პროგრამები/პროექტები“, რომელიც მოიცავს იმ პროექტებისა და სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთი, შემსრულებელი ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს.

11. სასურველია ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „გეგმები“, სადაც განთავსდებოდა სამინისტროს მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

12. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს 2011 წლის საქმიანობის კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. ამასთან, ვებ-გვერდზე მოიძიება მხოლოდ 2010 წლის ანგარიში (არ მოიძიება სხვა წლებში სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიშები):

თქვენ იმყოფებით: [სასარგებლო ინფორმაცია](#) / ანგარიში

ანგარიში

 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს 2010 წლის ანგარიში

13. განყოფილებაში „სასარგებლო ინფორმაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „ახალი ამბები“ მოყვანილი უკანასკნელი საინფორმაციო ხასიათის ცნობა სამინისტროს საქმიანობის შესახებ თარიღდება 2011 წლის ივნისის თვით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს 2011 წლის ივნისის თვემდე განხორციელებული სამინისტროს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:

თქვენ იმყოფებით: [მთავარი მენიუ](#) / სასარგებლო ინფორმაცია

სასარგებლო ინფორმაცია

	პირობით ვადამდე 27 მსჯავრდებული გათავისუფლდა 30 ივნისი 2011 მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივმა სამჭოებმა, ზეპირი მოსმენის დასრულების შემდეგ, 27 განცხადება დააკმაყოფილეს.	გვერდი
	ლიცენზირებული აფთიაქები პენიტენციურ სისტემაში 29 ივნისი 2011 პენიტენციურ სისტემაში აფთიაქების ლიცენზირება გრძელდება.	გვერდი
	ადგილობრივი სამჭოები მიღებულ განცხადებებს განიხილავენ 29 ივნისი 2011 მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი სამჭოები მიმდინარე თვეში მიღებულ განცხადებებს განიხილავენ.	გვერდი
	ქსნის №15 დაწესებულებაში ვიდეოპაემანი ამოქმედდა 27 ივნისი 2011 დღეიდან ახალი სერვისით სარგებლობას ქსნის №15 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულები შეძლებენ, უახლოეს მომავალში კი სიახლე სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში ეტაპობრივად დაინერგება.	გვერდი

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

14. განყოფილებაში „სასარგებლო ინფორმაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები“ სასურველია მოიძიებოდეს:

ქვე-განყოფილებაში „კანონები“ - საქართველოს კანონი “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ”, საქართველოს კანონი “სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ”, საქართველოს კანონი „საპარლამენტო მდივნის შესახებ“, საქართველოს სისხლის სამართლის და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსები:

თქვენ იმყოფებით: [სასარგებლო ინფორმაცია](#) / [სამართლებრივი აქტები](#) / [კანონები](#)

კანონები

 საქართველოს კონსტიტუცია

 საქართველოს კანონი მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ

 პატიმრობის კოდექსი

 საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ

 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ

 საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ

ქვე-განყოფილებაში „კანონქვემდებარე აქტები“ – მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული და ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები - ბრძანებები, ინსტრუქციები, მითითებები და ა.შ., სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესი, აგრეთვე სამინისტროს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები:

თქვენ იმყოფებით: [სასარგებლო ინფორმაცია](#) / [სამართლებრივი აქტები](#) / [კანონქვემდებარე აქტები](#)

კანონქვემდებარე აქტები

 საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთან სამინისტროს დებულება.

 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულება

 არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება

 იურიდიული დახმარების სამსახურის დებულება

 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდება

 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დებულება

 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები

 მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნით სარგებლობა

 მსჯავრდებულთან ხანგრძლივი პაემნით სარგებლობა

 ადგილობრივი საბჭოს დებულება

 მუდმივმოქმედი კომისიის დებულება

ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი აქტები“ სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილება - „სამართლებრივი აქტების პროექტები“, რომელშიც განთავსდებოდა შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტები და პროექტებზე დართული განმარტებითი ბარათები.

აგრეთვე არ მოიძიება სამინისტროს მოქმედი შინაგანაწესი. აღნიშნული აქტი სასურველია განთავსდეს განყოფილებაში „სამინისტრო“ შესაქმნელ განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად - „სამინისტროს შინაგანაწესი“.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

15. სამინისტროს ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიში, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/sasjelagsruleba0001.pdf);*

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

16. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება „ტენდერები“ , თუმცა მასში არ არის განთავსებული სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (არქივი), მოცემულია მხოლოდ რამდენიმე განცხადება. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“,*

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრული ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/tenderebis_chamonatvali0001.pdf;

17. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

18. ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილება „ვაკანსიები“, იუწყება რომ „ამჟამად ვაკანსია არ არის“. სასურველია მოცემულ განყოფილებაში მოყვანილ იქნეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ. :

თქვენ იმყოფებით: **კარიერა** / ვაკანსია

ვაკანსია

ამჟამად ვაკანსია არ არის. მაღლობა, რომ ეწვიეთ ჩვენ ვებ-გვერდს.

➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

19. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი კადეტთა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული არანაირი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:


- არ მოიძიება სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2009 წლის მთლიანად და 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ქვედანაყოფების (ერთეულების), ხელმძღვანელი პირებისა და მათი მოადგილეების თანამდებობრივი სარგოების და სახელფასო დანამატების ოდენობა (ცალ-ცალკე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/tanamdebobrivi_sargo0001.pdf);

- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;
- არ მოიძიება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო.


ზემოთხსენებული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს შესაქმნელ განცალკევებულ განყოფილებაში („ფინანსები“, „ხარჯთაღრიცხვა“, „ბიუჯეტი“ და *მისთ.*).

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ნავიგაცია

ვებ-გვერდის რუკა არასწორად არის ფორმირებული, მაგალითად „მთავარი გვერდი“ და „სამინისტრო“ უნდა იმყოფებოდეს ერთ დონეზე, ხოლო რუკაში ისინი სხვადასხვა დონეზეა განლაგებული:

მთავარი მენიუ

> მთავარი

სამინისტრო

> სამინისტროს შესახებ

მინისტრი

მოადგილეები

> სამინისტროს დებულება

> სამინისტროს სტრუქტურა

დეპარტამენტები

> ადმინისტრაციული დეპარტამენტი

> გენერალური ინსპექცია

> საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

> საგამომიებო დეპარტამენტი

> საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

> სამედიცინო დეპარტამენტი

> ეკონომიკური დეპარტამენტი

> სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი

დაქვემდებარებული უწყებები

> სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

> პრობაციის ეროვნული სააგენტო

> იურიდიული დახმარების სამსახური

> სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

> 2012 წლის პრიორიტეტები

ვებ-გვერდის რუკის ღილაკი უმოქმედოა, ფუნქციონირებს მხოლოდ მისი ხატულა (Icon):



➤ ძიება

ვებ-გვერდის ძიების მოდულში არ არის გაწერილი ქართული ფონტი:



სიახლეების ფილტრაციის დროს, თუ შედეგები ვერ მოიძებნა, გამოდის ცარიელი გვერდი. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია, რომ გამოდიოდეს წარწერა „ინფორმაცია ვერ მოიძებნა“:

თქვენ იმყოფებით: [მთავარი მენიუ](#) / სასარგებლო ინფორმაცია

სასარგებლო ინფორმაცია

აინჩიეთ წელი

მარტი


< >

ძიების შედეგებში ტექსტი იწერება დარღვეული ფორმატით:

- ... ხმარების საკითხთა სამინისტრო არის
აღსრულების განხორციელების ორგანიზე
- 2) სამინისტროს სტრუქტურა
... ? ...
- 3) სამინისტრო
... ..
- 4) წითელი ჯვრის საერთაშორისო კომ
... ? ? სოციალური დაცვის სამინისტრო
სამინისტრომ და წითელი ჯვრის საერთ
- 5) გაეროს განვითარების პროგრამა (U
... ხმარების საკითხთა სამინისტროს ფარ
სამსახურის დახმარება საქართველოს ტერ
- 6) კარიერა
... ინტერესებული პირი სამინისტროში (
კანდიდატთა შერჩევისა და სტაჟირების გ
- 7) ხათუნა კალმახელიძე

➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ვებ-გვერდის შეუვსებელი გვერდებზე უნდა არსებობდეს შესაბამისი აღნიშვნა - „გვერდი მზადების პროცესშია“:



➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

ვებ-გვერდის ქართული ვერსიიდან ინგლისურ ვერსიაზე გადასაყვანი ლილაკი საკმაოდ მკრთალია, საჭიროა მისი სიმკვეთრის მომატება:



➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდის ინგლისური ვერსიის რუკიდან, სიახლეებში გადასვლისას იცვლება ენა, ინგლისური ვერსიიდან გადადის ქართულზე. ინგლისური ვერსიის ნებისმიერ ბმულზე დაჭერით აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს ენა:

- Penitentiary and Probation Tra
- Reforms**
 - Penitentiary System
 - National Probation Agency
 - Legal Aid
- Useful Information**
 - Site Map
 - News
 - Frequently Asked Questions
- Briefing**
 - Statement
 - Publication
 - Links
 - Report
 - Ask a Question
- Partners**

ბრაუზერ INTERNET EXPLORER-ში ირღვევა ძიების მოდულის სტრუქტურა:



➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან


შედარებით ნაკლებად აქტუალური სოციალური ქსელების ღილაკებისგან განსხვავებით ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე არ დევს ვებ-გვერდის Facebook-ის ვერსიაზე გადასასვლელი ღილაკი:



© 2011. საქართველოს სასაზღვრო დაცვის სამსახურის საინფორმაციო ცენტრი

➤ უსაფრთხოება

ვებ-გვერდის HTTPS ვერსია არსებობს, თუმცა ცარიელია:




Found

Requested URL /index.php was not found on this server.

Initially, a 404 Not Found error was encountered while trying to use an ErrorDocument

404 Not Found

ვებ-გვერდზე დაშვებულია ძალიან მნიშვნელოვანი ტექნიკური შეცდომა. ქართული ვებ-გვერდების უმეტესობა სწორად ამ ხარვეზის გამო აღმოჩნდნენ უძლურები კიბერ-შეტევების დროს:



ჩვენს სპეციალურად არ ვწერთ თუ კონკრეტულად სად არის ხარვეზი, თუმცა სასჯელაღსრულების, პროზაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ტექნიკურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ანალიზს ხარვეზის შესახებ;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდს არ აქვს ისეთი მარტივი ფუნქციები, როგორიც არის სიახლეების გამოწერა, ავტომატურ რეჟიმში ქართული ფონტის გამოყენება, ამობეჭდვის ფუნქცია და სხვა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გვერდებს არ აქვთ თავისი დასახელება და აღწერა, რაც მნიშვნელოვანია საძიებო სისტემებისთვის. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდი დასახვეწი და გასამართია.